

საქორწინო კონტრაქტის წარმოშობა და განვითარება

გიორგი თუმანიშვილი /უმცროსი/
თსუ საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი

ანოტაცია

საქორწინო კონტრაქტის წარმოშობის საკითხი დღემდე ღიაა მეცნიერთა შორის. არ არსებობს ერთიანი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ, რაც უპირველესყოვლისა დაკავშირებულია იმ ფაქტორთან, რომ აღნიშნული მიმართულებით სათანადო სამეცნიერო კვლევა ძიება არ განხორციელებულა.

წინამდებარე სტატია არის მცდელობა მიზანმიმართულად შესწავლილ იქნეს ზემოაღნიშნული თემატიკა და გაცემული იყოს პასუხები ისეთ ფუძემდებლურ საკითხებზე როგორც არის: თუ რომელ სახელმწიფოში იყო პირველად გამოყენებული ზემოაღნიშნული კონტრაქტი, როდის და ვის მიერ?

სტატია შედგება ერთი ნაწილისაგან, რომელშიც წარმოებს თანმიმდევრული კვლევა აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში და დასკვნისაგან, რომელშიც ჩამოყალიბებულია ნაშრომში ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგები.

საკვანძო სიტყვები: საქორწინო კონტრაქტი.

საქორწინო კონტრაქტის წარმოშობის საკითხი დღემდე ღიაა მეცნიერთა შორის. ჩვენს მიერ მოძიებული მასალა იძლევა პასუხს კითხვაზე თუ რომელ სახელმწიფოში იყო პირველად გამოყენებული ზემოაღნიშნული კონტრაქტი და როდის?

მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ საქორწინო კონტრაქტის წარმოშობა უკავშირდება ამერიკის შეერთებულ შტატებს, ხოლო მისი დადების თარიღად ნაგარაუდევია პერიოდი 1905-1915 წლები.

იმისათვის, რომ ჯეროვანი პასუხი გავცეთ ზემოხსენებულ კითხვას აუცილებელია გარკვეული ქრონოლოგიური და ლოგიკური ჯაჭვის აგება დღევანდელი დღიდან შორეულ წარსულის ჩათვლით და მისი გაანალიზება.

მკვლევართა მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქორწინო კონტრაქტი პირველად გამოყენებულ იქნა იმ შინაარსობრივი დატვირთვით რაც მას დღეს გააჩნია ამერიკის შეერთებულ შტატებში, და თან მე-XX საუკუნის დასაწყისში, არის მცდარი.

ჩვენი არგუმენტაცია:

1. 1905 წელს ჰააგაში მიღებულ იქნა კონვენცია, რომელიც ეხებოდა საოჯახო სამართლებრივ საკითხების ფართო წრეს, კერძოდ კი საქორწინო კონტრაქტს;

2. 1882 წლამდე ინგლისში მეუღლეთა საკუთრება რეგულირდებოდა Common Law – ს პრინციპებით და ნორმებით. საერთო სამართლის ნორმების მიხედვით მეუღლეთა საკუთრება თითქმის მთლიანად ეკუთვნოდა მეუღლე მამაკაცს /ქმარს/. ქალს არ ჰქონდა უფლება თავისი საკუთრების განკარგვისა ანუ ქონებრივი დამოუკიდებლობისა, ვინაიდან მისი საკუთრება გადადიოდა მეუღლის საკუთრებაში, რომლის განკარგვის უფლებაც ქმარს ჰქონდა.

1882 წელს ინგლისში მიღებულ იქნა კანონი "დაქორწინებული ქალების საკუთრების შესახებ". კანონში განსაზღვრული იყო, რომ მომავალში – ქალის დაქორწინების შემთხვევაში, ის ქონება რომელიც ქალის საკუთრებაში იყო

დაქორწინებამდე, ასევე, ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება, საკუთრების იმ სამართლებრივი რეჟიმით უნდა ყოფილიყო განსაზღვრული, რომელიც იქნებოდა გათვალისწინებული საქორწინო ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, მეუღლეთა წილობრივი საკუთრებისას.

3. 1835 წელს საფრანგეთში პირველად გამოქვეყნებული იყო ონორე დე ბალზაკის თხზულება "La Fleur des pois" /ეს იდიომატური ფრანგული წინადადება ნიშნავს "ბარდის ფოთოლს". თავდაპირველ ვარიანტში თხზულება შედგებოდა სამი შემადგენელი ნაწილისაგან: 1. დადებითი და წინააღმდეგი; 2. საქორწინო კონტრაქტი; 3. განშორება. 1942 წელს ონორე დე ბალზაკის ზემოხსენებული თხზულება ხელახლა იქნა გამოცემული სათაურით "საქორწინო კონტრაქტი". ამ სათაურით ბალზაკი ცდილობდა უკეთ გაეხსნა მის თხზულებაში არსებული ძირითადი თემა. როგორც მოგეხსენებათ ბალზაკის შემოქმედება ცნობილია იმით, რომ იგი შესანიშნავად ახერხებდა თავის ნაწარმოებებში გადმოეცა ის პოლიტიკური, სოციალური თუ სხვა მდგომარეობანი, რომელთაც იმ დროს ადგილი ჰქონდა საფრანგეთის სინამდვილეში. თავის თხზულებაში ბალზაკი მოგვითხრობს ისტორიას იმის შესახებ, თუ როგორ დაიდო საქორწინო კონტრაქტი მისი თხზულების ორ პერსონაჟს შორის. თხზულებიდან ნათლად ჩანს, რომ საფრანგეთში არამც თუ 1835 წელს, არამედ ბევრად ადრეც საქორწინო კონტრაქტი იყო ჩვეულებრივი მოვლენა, როდესაც დასაქორწინებელი პირების იურისტები ადგენდნენ საქორწინო კონტრაქტს, ხოლო შემდეგ დასაქორწინებელი პირები განიხილავდნენ მას და თანხმობის დადასტურებისათვის ხელს აწერდნენ. თხზულებაში ასახულია და აღწერილია, ის ქონებრივი ხასიათის სიკეთე, რომლის სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრისათვისაც იდებოდა ზემოაღნიშნული საქორწინო კონტრაქტი. ამგვარად დასკვნის სახით შესაძლოა ითქვას, რომ 1835 წელს საფრანგეთის მოსახლეობისათვის არამც თუ უცხო, არამედ ძალიან ნაცნობი იყო საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტი და მისი რაობა, რაც დასტურდება იმ დროს მოქმედი საფრანგეთის სამოქალაქო კანონმდებლობითაც, კერძოდ კი 1804 წლის საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში არსებული სამართალმდგომარეობით. შესაძლებელია ასევე დავასკვნათ, რომ საფრანგეთში მე-XIX საუკუნის დასაწყისში საქორწინო კონტრაქტი არა მხოლოდ ლეგალურად დაშვებული იყო, არამედ აქტიურად გამოიყენებოდა კიდევ, ვინაიდან საზოგადოების ფართო ფენები (ხშირ შემთხვევაში "მაღალი" საზოგადოების წარმომადგენლები) უმალ მიმართავდნენ ხელშეკრულების ამ სახეს.

4. 1989 წელს პირველად გამოქვეყნებული იყო, ხოლო 1991 წელს ითარგმნა ებრაელ ენაზე მეცნიერთა მიერ შემთხვევით აღმოჩენილი 1754-1765 წლებში შედგენილი, პორტუგალიელი ებრაელების კეთუბები (საქორწინო კონტრაქტი), რომელთა რაოდენობაც შეადგენდა 10 ტომს, სულ საქორწინო კონტრაქტთა რეესტრი მოიცავდა 233 საქორწინო კონტრაქტს. აღნიშნული კონტრაქტები შედგენილნი იყვნენ ტუნისის პორტუგალური თემის (გრანა) რავინთა სასამართლოს მოსამართლეების მიერ.

233 საქორწინო კონტრაქტი, რომელიც მიახლოებით იმავე შინაარსობრივი დატვირთვის იყო რაც დღეს (ბუნებრივია თავისი სფეციფიური ნიშნების გათვალისწინებით) შედგენილ და დადებულ იქნა თერთმეტი წლის განმავლობაში, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ ტუნისის პორტუგალური თემისათვის და იმ "ებრაელობისათვის" რომელიც იქ ცხოვრობდა საქორწინო კონტრაქტი ჩვეული მოვლენა იყო იმ დროის მონაკვეთში რა დროსაც შედგენილი იქნენ ზემოაღნიშნული კეთუბები ანუ 1754-1765 წ.წ.

5. 1538 წელს ლანდერლოკის ერთ-ერთ დასახლებაში დადებულ იქნა საქორწინო კონტრაქტი, ვინმე მარტენ გერსა და ბერნარდა დე როლს შორის, /მეუღლე - ქმარი 14 წლის, მეუღლე - ცოლი 12 წლის/. ამ კონტრაქტის შესახებ შემდგომ ცნობილმა ადვოკატმა ჟან დე კორამ დაწერა წიგნი "Достопамятный приговор...".

არგუმენტი N6, ჩვენის აზრით, საჭიროებს დიდ ყურადღებას, ვინაიდან იგი ეყრდნობა უძველეს დოკუმენტურ მასალას, რომელიც მიეკუთვნება ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეხუთე საუკუნეს.

კერძოდ, 1893 წელს კუნძულ ელეფანტაინის ერთ-ერთ დასახლებაში, რომელიც მდებარეობს მდინარე ნილოსის ნაპირზე აღმოჩენილი იქნა პაპირუსის რამოდენიმე ასეული შეკვრა. პაპირუსის ამ შეკვრებიდან 8 შეკვრა 1947 წელს საჩუქრად გადაეცა ბრუკლინის ხელოვნების მუზეუმს. პაპირუსზე შესრულებული ნაწერები მოგვითხრობენ ვინმე ანანიის (რომელიც მოხსენიებულია, როგორც ერთ-ერთი ებრაელი "თემის მამა") და მისი მეუღლის - ტამუტის ცხოვრებას. ამ ნაწერების გარდა, რომლებიც ძირითადად შესრულებულია ძველ არამეულ ენაზე პაპირუსის შეკვრებში მრავლადაა ამა თუ იმ პირებს შორის დადებული საქორწინო კონტრაქტები. იბადება კითხვა: რა უნდოდათ ებრაელებს ეგვიპტეში? მეცნიერთა მტკიცებით ანანიის შესახებ, რომელიც მოხსენიებულია ზემონახსენებ წარწერებში პირველად ცნობილი ხდება ჩვენს წელთაღრიცხვამდე 449 წლის 9 აგვისტოთი დათარიღებულ ქორწინების აქტით. აღნიშნული დოკუმენტი ცხადყოფს და ადასტურებს მის საქორწინო კავშირს ვინმე ქალწულ ტამუტთან, რომელიც ეგვიპტის მკვიდრი მოსახლე იყო. ტამუტის მამამ, ვალის გადახდის სანაცვლოდ მიყიდა თავისი ქალიშვილი ვინმე მიშულამას, რაც იმ დროს სესხის დაფარვის ჩვეულებრივ სახედ გვევლინებოდა. ტამუტის და ანანიის ქორწინების მომენტისათვის მათ უკვე ჰყავდათ ექვსი წლის ვაჟი სახელად პალტი, საქორწინო კონტრაქტის მეშვეობით ტამუტის ვაჟიშვილი თავისუფლდებოდა მონობისაგან, ხოლო ტამუტი ისევე რჩებოდა მისი მეუღლის მონობაში.

ზემოაღნიშნულ პაპირუსის შეკვრებში არსებული ყველა საქორწინო კონტრაქტი შედგენილია არამეულ ენაზე გამოკვეთილი და დახვეწილი იურიდიული ტერმინოლოგიით არამეული ენის სწავლული პირების მიერ. აგრეთვე ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ყველა კონტრაქტი ხელმოწერილია როგორც უშუალოდ მხარეების, ასევე მოწმეების მიერ.

მაშ, როგორც ჩანს, საქორწინო კონტრაქტი არამც თუ ამერიკის შეერთებული შტატების ან ზოგადად "ძველი ევროპის" მონაპოვარია არამედ მის წარმოშობას ბევრად უფრო შორს მივყავართ შორეული "ძველი აღმოსავლეთისაკენ", კერძოდ კი ეგვიპტისაკენ.

არგუმენტი N6 ცხადყოფს, რომ ჩვენ წელთაღრიცხვამდე 449 წელს ეგვიპტისათვის ჩვეულებრივია საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტი. იგი არამც თუ მხოლოდ იცნობს ამ ინსტიტუტს, არამედ ფართოდაც იყენებს, როგორც სხვადასხვა სახელმწიფოების მოქალაქეების ქორწინებისას ასევე ეგვიპტელების ქორწინებისას.

ეგვიპტეში, ჩვენ წელთაღრიცხვამდე 449 წელს ანანიის და ტამუტის შორის დადებული საქორწინო კონტრაქტი შინაარსობრივად მოიცავს დღევანდელი საქორწინო კონტრაქტის მრავალ ელემენტს. მათ კონტრაქტში არის საუბარი ტამუტის მამის კუთვნილ სახლზე, რომელიც ანანიის საკუთრებაში გადავიდოდა ქორწინების შემდგომ, ასევე რამოდენიმე მდგომარეობა, რომელიც ეხებოდა მათ ერთადცხოვრების პერიოდში შეძენილ ქონებას, და რაც ასევე მნიშვნელოვანია, კონტრაქტში მრავლად არის ის

სამართალმდგომარეობანი, რომლებიც დაარეგულირებდნენ მათ ქონებრივ უფლებებს და მოვალეობებს განქორწინებისას.

(მცირე დასკვნის სახით)

შესაძლოა ჩვენს მიერ საქორწინო კონტრაქტის წარმოშობასთან დაკავშირებული კვლევის შედეგები მომავალში კიდევ უფრო დაზუსტდეს, მაგრამ იმ სამართლებრივი წყაროების მიხედვით, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქორწინო კონტრაქტის წარმოშობის საკითხი უშუალოდ დაკავშირებულია ეგვიპტეს სახელმწიფოსთან და მის სამართალთან.

პირველ ცნობად, შესაბამისად სამართლის წყაროდ და პირველ საქორწინო კონტრაქტად ჩვენ შეგვიძლია მივიჩნიოთ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 449 წელს დათარიღებული საქორწინო კონტრაქტი, ებრაელი სასულიერო მოღვაწის ანანიის და ეგვიპტელი ქალის ტამუტის შორის, რომელიც შედგენილია ძველ არამეულ ენაზე და დღეს ინახება ბრუკლინის ხელოვნების მუზეუმში.

დასკვნა

საქორწინო კონტრაქტის წარმოშობის საკითხი დღემდე ღიაა მეცნიერთა შორის.

1.1. საქორწინო კონტრაქტის წარმოშობა არ არის, როგორც მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს ამერიკის შეეერთებული შტატების ან "ძველი ევროპის მონაპოვარი". მის წარმოშობის საკითხის ჯეროვან შესწავლას მივყავართ შორეული "ძველი აღმოსავლეთისაკენ", კერძოდ კი ეგვიპტისაკენ.

1.2. საქორწინო კონტრაქტის წარმოშობის საკითხი უშუალოდ დაკავშირებულია ეგვიპტეს სახელმწიფოსთან და მის სამართალთან. ხოლო პირველ ცნობად, შესაბამისად სამართლის წყაროდ და პირველ საქორწინო კონტრაქტად ჩვენ შეგვიძლია მივიჩნიოთ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 449 წელს დათარიღებული საქორწინო კონტრაქტი, ებრაელი სასულიერო მოღვაწის ანანიის და ეგვიპტელი ქალის ტამუტის შორის, რომელიც შედგენილია ძველ არამეულ ენაზე და დღეს ინახება ბრუკლინის ხელოვნების მუზეუმში.

1.3. ჩვენ წელთაღრიცხვამდე V საუკუნეში ეგვიპტესათვის ჩვეულებრივია საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტი. იგი არამც თუ მხოლოდ იცნობს ამ ინსტიტუტს, არამედ ფართოდაც იყენებს, როგორც სხვადასხვა სახელმწიფოების მოქალაქეების ქორწინებისას ასევე ეგვიპტელების ქორწინებისას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. "საოჯახო სამართალი", შ. ჩიკვაშვილი, გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი, 2000 წელი;
2. "ქართული სამართლის ძეგლები", ი. დოლიძე, გამომცემლობა "მეცნიერება", თბილისი, 1966 წელი, ტ. II;
3. ხელნაწერი, ბრუკლინის ხელოვნების მუზეუმი, ხელნაწერის სარეგისტრაციო ნომერი EG3149/M402/L263;
4. "Курс семейного права". Загорский А. И. Одесса. Изд. "Спектр". 1996 г. Стр. 135;
5. "Международное частное право". /Иностранное законодательство. Серия: современное зарубежное и международное частное право. Составители: А.Н. Жильцов, А.И. Муранов/. Стр. 30. Изд. "Статут". Москва, 2001 год;
6. Антокольская М.В. "Семейное право". Изд. "Юристъ". М. 1996;
7. Балеков П.С. "Семья по контракту". Журн. "Социальная защита". N3. 1995;
8. Максимович Л. Б. "Брачный договор (контракт)". Изд. "Ось-89". М. 2001;
9. Бондов С.Н. "Брачный договор". Изд. "Закон и право". М., 2000;
10. Игнатенко А.А. Скрыпников Н.Н. "Брачный договор";
11. Законный режим имущества супругов". Изд. "Филин". М. 1997;
12. Функ Я.И. "Брачный договор. Имущественные отношения супругов, их участие в хозяйственных обществах и товариществах". Изд. "Амалфея", Минск. 2000;
13. Бондов С.Н. "Брачный договор". Изд. "Закон и право". М., 2000

სტატია მიღებულია: 2004-12-29